სამოქმედო გეგმის ანგარიში

მაძიებელი მასწავლებელი: ბექა ადუაშვილი

2021 წლის ოქტომბრის ბოლოს სკოლა ,,ოქროს აკვანში“ ჩავერთე მაძიებლობის პროგრამაში. ავიჩიე მოკლე კურსი, 2022 წლის 15 ივნისამდე. კურსი შემოიფარგელბოდა 10 გაკვეთილით და პარალელურად სადემონსტრაციო კურსის გავლით.

პრაქტიკული კურსი

კურსის დასწყისში ტუტორთან ერთად დავგეგმე სამოქმედო გეგმა, განვიხილეთ მასში შემავალი შესასრულებელი აქტივობები. ტუტორმა გამაცნო პროფესიულ საქაღალდეში ასატვირთი აქტივობები, რომელიც ექვემდებარება შეფასებას.

შემდეგი შეხვედრა უკავშირდებოდა – გაკვეთილების გეგმის წერის უნარ–ჩვევების განვითარებას; გაკვეთილების ფაზებისა და გეგმის კომპონენტების გაცნობას; გეგმის ნიმუშების პრეზენტაციას და ერთობლივად გაკვეთილების დაგეგმვას და სწავლა– სწავლების თანამედროვე მეთოდების და სტრატეგიების გაცნობას.

პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ვხვდებოდი კოლეგებს და ვიზიარებდი პროფესიული გამოცდილებას. სწორედ მათი გამოცდილება დამეხმარა დამეხმარა საგაკვეთილო პროცესის სწორად წარმართვაში, სასწავლო სტრატეგიების ასაკის შესაბამისად შერჩევაში, აქტივობებისათვის გამოყოფილი დროის სწორად და ეფექტურად მართვასა და თანამშრომლობითი ურთიერთობის პოზიტიურად წარმართვის უნარების გამომუშავებაში, რესურსების მიზნობრივად შერჩევაში. პარალელურად ვამუშავებდი სხვადასხვა ლიტერატურას, ვეცნოვოდი თეორიულ მასალას.

10 გაკვეთილი

მაძიებლობის პრაქტიკული კურსის ფარგლებში ჩავატარე ათი საჩვენებელი
გაკვეთილი, რომლის მიზანი იყო, ჩემი, როგორც მაძიებელი მასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა.

გაკვეთილები ჩავატარე ისტორიაში. შერჩეული მქონდა 11/2 კლასი.
ჩემ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილები ერთმანეთისგან განსხვავებული იყო, როგორც რესურსებით, ასევე მიზნებით და აქტივობებით. ყოველი აქტოვობის დაგეგმვისას გავითვალისწინე მოსწავლეთა შესაძლებლობები. სწორად გავთვალე დროის მენეჯმენტი. და დისციპლინის საკითხები.
გაკვეთილებს ვგეგმავდი დამოუკიდებლად, შემდეგ ვაცნობდი ტუტორს და ვითვალისწინებდი მისგან მიღებულ უკუკავშირს.

ჩემ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს ესწრებოდნენ დირექტორი და ტუტორი . მათ მიერ მოცემული რეკომენდაციები, მეხმარებოდა სამომავლოდ გაკვეთილის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში.

მომიწია ონლაინ სწავლების რეჟიმიც ერთი გაკვეთილის ჩატარება, რაც კიდევ ერთი გამოწვევა იყო ჩემთვის. ონლაინ სწავლების პირობებში შევიძინე ინტერნეტ სასწავლო პროგრამების გამოყენების ცოდნა. ვფიქრობ რომ ამ გამოწვევასაც საკმაოდ წარმატებულად გავართვი თავი.

პრაქტიკული კურსის ფარგლებში დავგეგმა და განვახორციელე გასვლითი ვიზიტი
რაც ნაყოფიერი აღმოჩნდა.
გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში წარვმართე საწრეო მუშაობა. მუშაობის შედეგას მოსწავლეებს განუვითარდათ დამოუკიდებლად ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების სხვადასხვა კონტექსტში განხილვა/გამოყენების უნარ-ჩვევები.
ჩამოუყალიბდათ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები.

აკადემიური კურსი

ერთლწლიანი კურსის განმავლობაში გავიარე აკადემიური და პრაქტიკული კურსი.

აკადემიური კურსი მოიცავდა სადემოსტრაციო კურსს და ოთხ მოდულს.

სადემოსტრაციო კურსი- მიზანი იყო სასწავლო სისტემა Edex-ის შესწავლა და ტექნიკური საკითხების დაუფლება, კურსის დახმარებით გამიადვილდა პორტალზე მუშაობა.

I კურსი - შესავალი მასწავლებლის პროფესიაში

ამ კურსის გავლით გავიგე, თუ რას უნდა ემსახურებოდეს საქართველოში მოქმედი ზოგადი განათლების სისტემა, გავეცანი:

- ეროვნულ სასწავლო გეგმას, მის პრინციპებს
- საგნობრივ მიზნებს, შინაარსსა და სხვა რეგულაციებს.
- შევისწავლე მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ

ცოდნას და უნარ -ჩვევებს, პროფესიულ ღირებულებებს და ვალდებულებებს.

- გავეცანი ელექტრონულ რესურსებს

სასარგებლო ბმულებს და საიტებს , რომელსაც საჭიროებისამებრ ვიყენებდი სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიული განვითარებისათვის.

II კურსი - „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები(თვითრეგულირებადი)“

კურსი დამეხმარა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში, რამაც მომცა საშუალება დამედგინა:

- რამდენად განსხვავებულია ერთი მოსწავლე მეორესაგან და თითოელი განსხვავების დროს
- როგორი სტრატეგიები უნდა დამესახა
- კურსის ფარგლებში ვისწავლე, როგორ უნდა მემუშავა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე
- როგორ უნდა დამეცვა თანასწორუფლებიანობა პროცესში.
- კურსის ფარგლებში შევეხეთ კონსტრუქტივიზმს და მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიც არის პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება.
- კურსის მსვლელობისას ვეცნობოდი საკითხავ და ვიდეო მასალას, აქტიურად ვიყავი ჩართული დისკუსიებში, ვიღებდი და გავცემდი უკუკავშირს.
- ვასრულებდი პრაქტიკულ სავარჯიშოებს , რაც საშუალებას მაძლევდა კურსის ფარგლებში შესწავლილი გამომეყენებინა ჩემს პრაქტიკაში ეფექტური და გამართული საგაკვეთილო პროცესის წარმართვისათვის.

III კურსი -„მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო -სწავლების და შეფასების სტრატეგიები (თვითრეგულირებადი)“.

კურსის გავლის შემდეგ შევძელი სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრა. კურსი დამეხმარა გამომემუშავებინა საჭირო უნარ-ჩვევები მოსწავლეთა შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შედგენის, ასევე განმავითარებელი შეფასების ეფექტურ და მიზნობრივ გამოყენებაზე.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები სრულად შეესაბამება ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოს 2021–2022 სასწავლო წლის განმავლობაში.

მაძიებელი მასწავლებელი: ბექა ადუაშვილი

თარიღი: 1/06/2022წ